ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აგრძელებს თანამშრომლობას ევროკომისიის პროგრამა ERASMUS MUNDUS-თან და HERMES პროექტის ფარგლებში აცხადებს კონკურსს თსუ აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალისთვის (პირველი სამიზნე ჯგუფი) ევროპის 7 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გაცვლითი სტიპენდიის მოსაპოვებლად

სააპლიკაციო დოკუმენტაციის მიღება ხდება ელექტრონულად შემდეგი ვებ-გვერდის საშუალებით:
http://www.erasmusmundus-hermes.uoa.gr/

სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალი	**აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი**
ცნობა სტატუსის შესახებ	გაცემული პერსონალის მართვის დეპარტამენტის მიერ, რომ ამჟამად რეგისტრირებული ხართ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (დოკუმენტის ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია, თუ დოკუმენტი არ არის ინგლისურ ენაზე)
ენის საერთაშორისო სერთიფიკატი (TOEFL, IELTS)	ენის საერთაშორისო სერთიფიკატი არ ეხებათ თსუ აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს, რომელთა სამუშაო ენა არის ინგლისური (ან შესაბამისი უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნილი სხვა ენა: გერმანული, იტალიური და ა.შ) და თუ აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა შეუძლიათ. შესაძლებელია, ასევე, რომ ზოგიერთმა უნივერსიტეტმა სავალდებულოდ მიიჩნიოს საერთაშორისო ენის სერთიფიკატის ქონა, გადაამოწმეთ ინფორმაცია სასურველი უნივერსიტეტის მოთხოვნებში!!
სამუშაო გეგმა	უნდა შეიცავდეს დაგეგმილი ტრენინგის, სწავლების, კვლევის ან/და თანამშრომლობის აქტივობებს (დანართი 1)
მოტივაციის წერილი	განმარტეთ, როგორ აირჩიეთ მასპინძელი უნივერსიტეტი, რა გავლენას მოახდენს თქვენი მობილობა მშობლიურ უნივერსიტეტზე, მოსალოდნელი თანამშრომლობის შესაძლებლობები (ინგლისურ ენაზე)
მხარდაჭერის წერილი მშობლიური უნივერსიტეტისგან	დასტური, რომ თსუ-ს აქვს აკადემიური ინტერესი ამ პროგრამაში მონაწილეობის მიღებით და დაბრუნების შემდეგ მოახდენს თქვენს ინტეგრირებას უნივერსიტეტთან
დაინტერესების წერილი მასპინძელი უნივერსიტეტისგან	მასპინძელი უნივერსიტეტის კვლევითი განყოფილების, ფაკულტეტის, მიმართულების, ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელის წერილი, რომ თქვენ შესაბამისი ხართ თანამშრომლობისთვის (შერჩევის შემთხვევაში)
CV	ევროპული ფორმატი
რეკომენდაციის წერილი	მაქსიმუმ ორი, თსუ-ს მიერ გაცემული (ინგლისურ ენაზე, შესაბამისი ფაკულტეტის ბეჭდით დამოწმებული)

პასპორტი	სურათიანი გვერდის დასკანერებული ვერსია
განცხადება განმეორებით ერასმუსის სტიპენდიის მიღებაზე	იხილეთ ნიმუში (დანართი 2)

პროექტში მონაწილე ევროპული უნივერსიტეტები:

1. ათენის უნივერსიტეტი, საბერძნეთი
2. ტალინის უნივერსიტეტი, ესტონეთი
3. ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტი, გერმანია
4. ვენეციის კა'ფოსკარის უნივერსიტეტი, იტალია
5. სალერნოს უნივერსიტეტი, იტალია
6. სოფიას უნივერსიტეტი, ბულგარეთი
7. ლინკოპინგის უნივერსიტეტი, შვედეთი

პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებული პროგრამები:
http://www.erasmusmundus-hermes.uoa.gr/academic-offerings-eu.html
პრიორიტეტული მიმართულებებია: ჰუმანიტარული მეცნიერებები
მობილობის პერიოდი: 2014/2015 აკადემიური წელი
მობილობის ხანგრძლივობა: 1 თვე
სტიპენდია მოიცავს 2500 ევროს ყოველთვიურად, საერთაშორისო მგზავრობისა და დაზღვევის დაფინანსებას.

სრული სააპლიკაციო დოკუმენტაციის პროექტის ვებ-გვერდზე ატვირთვის ბოლო ვადა:
2014 წლის 14 თებერვალი

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ
ანი ჭელიშვილს თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში
თსუ პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი 121. ელ-ფოსტა: erasmus@tsu.ge